



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1053
01/06/2018

ქალაქი ბათუმი

1053-05-4-201806011149



ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-სა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მადონა სამნიძის 2018 წლის 31 მაისის №1544-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილებამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე ა(ა)იპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“-საგან ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შეძენის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

